ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 7 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ძგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9 ბ) შავერდოვის საგაზეთო სააგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდრეს ბაღის ყურეში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 24 ნოემბერი

ჩვენ წინა წერილებში ვსთქვით, რომ ზოგიერთი დიდი სახელმწიფო ჰცდილობს გააჭიანუროს ბოლგარიის საქმე: განგებ აგრძელებს და განგებ სწეწავს, რა არის, მალე არ გათავდეს. ამ აზრის ცხადი საბუთები წინ გვიწყვია დღეს. გამომჟღავნდა თუ არა, რომ რუსეთმა ანიშნა ევროპას თავადი მეგრელიისა ბოლგარიის მთავრად, მთელმა ევროპამ დაიწყო ამაზედ ლაპარაკი და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ თითქმის არავინ არ ეურჩა თავადის მეგრელიის კანდიდატობას. გაზეთებში ხმა დავარდა, რომ თითქმის ყველა სახელმწიფონი თანახმანი არიან თავადი მეგრელიისა ამოირჩიონ მთავრადაო. ამ ამბავმა იმედი მისცა ყველას, რომ აი საქმე ამითი გათავდება, ამითივე მოეღება ბოლო ბოლგარიის საქმესა და, მაშასადამე, ევროპაც დამშვიდდება და მოისვენებსო. მაგრამ იმედი გამტყუვნდა. რაკი საქმე გათავებაზე მიდგა, ახლა სხვა მიზეზები ჩაერია. ავსტრი-ვენგრია გამოვიდა და იძახის, ჯერ მინამ მთავარი ამოირჩევოდეს, საჭიროა ბოლგარიის და რუმელიის გაერთების საქმე ასე თუ ისე გადაწყდესო. მინამ ეს საქმე არ გათავდება, უქმი და ამაოა ლაპარაკი შესახებ მთავრის ამორჩევისაო. სად იყო აქამდე ავსტრი-ვენგრია, თუ მართლა ესა ჰქონდა ფიქრად და საჭიროდ ჰხედავდა ამასა? როცა ბოლგარიის მთავრობამ მოიწვია დიდი საერო კრება მთავრის ამოსარჩევად ტირნოვოში, რატომ მაშინ არ გამოვიდა ავსტრი-ვენგრია და არა სთქვა, ტყუილად ირჯებით, ჯერ წინ გიდევთ ბოლგარიის და რუმელიის გაერთების საქმეო, ჯერ ეს გაათავეთო. მაშინ ეს უსათუოდ საჭირო არ იყო და იმიტომ არ იყო საჭირო, რომ მინამ ბოლგარია ამ არჩევანში იქნებოდა გაბმული და გართული, დრო გავიდოდა და დროს გაგრძელება, როგორც სჩანს, ვისთვისმე ხელ-საყრელია. მართალიც არის: ამ არჩევანმა და ყაყანმა მთავრის ამორჩევისამ კარგა დრო შეიღლივა. ახლა როცა დიდის საერო კრების მიერ ამორჩეულმა პრინცმა ვოლდემარმა უარი სთქვა, ბოლგარია მთავრის ამორჩევის გამო იმავე მდგომარეობაში ჩავარდა, რომელშიაც წინად იყო, ესე იგი, მთავრის ამორჩევა ხელ-ახლად გაუხდა საზრუნველი და საფიქრებელი. სწორედ ამის შემდეგ რუსეთმა თავისის მხრით აჩვენა ამოსარჩევად თავადი მეგრელიისა და როცა აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში ევროპა თითქმის დაჰყვა რუსეთსა და იმედი მოეცათ, რომ რაკი ეგრეა, ბოლგარიის საქმე მალე დაჰქლაგდება, სწორედ მაშინ ავსტრი-ვენდრია იძახის: ჯერ ბოლგარიის და რუმელიის გაერთების საქმე უნდა გათავდესო. ავსტრი-ვენგრიამ კარგად იცის, რომ ეს საქმე მეტის-მეტად მიზეზიანია და რთული, ბევრს ფარულს სურვილს და წადილს აშლის და ყოველივე ეს იმოდენად დაჰხლართავს საქმეს, რომ ბევრი წყალი ჩაივლის კიდევ, ვიდრე ბოლო მოეღება.

ახლა ინგლისი გამოსულა და იძახის: ვიდრე ეხლანდელი რეგენტობა და მის მიერ მოწვეული დიდი საერო კრება კანონიერად არ იქმნება ცნობილი, მთავრის ამორჩევის თაობაზედ სიტყვა და ლაპარაკი წინასწარიაო; ჯერ უნდა ვეცადნეთო, რომ ჩვენ ყველამ იგი დიდი საერო კრება კანონიერად აღვიაროთო. ინგლისმაც ძალიან კარგად იცის, რომ ზოგნი სახელმწიფონი კანონიერად არა სცნობენ იმ კრებასა, და ამის გამო ამაზედ ატყდება ერთი ლაპარაკი და დავიდარაბა, ამ ლაპარაკს და დავიდარაბას ბევრი დრო მოუნდება, საქმე გაგრძელდება, აიჭიჭუნება და მალე არ გათავდება.

თუ გაზეთებს დავუჯერებთ,— დღეს ოსმალეთიც გამოსულა და ევროპას ეუბნება: თუ თქვენი ნებაც იქმნება, მე ჩემის უფლების ძალით, წინადადებას მივცემ ბოლგარიის რეგენტობას გადასდგეს და დაეთხოვოს ბოლგარიის საქმეთა გამგეობას, ხელ-ახლად მოვახდენინებ არჩევანს დიდის საერო კრებისას და ამ რიგად წესსა და რიგს ჩამოვაგდებ ბოლგარიაშიო. თუ ვინიცობაა ურჩობას გამიწევენ, მაშინ ძალა ვიხმაროთო, ესე იგი, ოკუპაცია მოვახდინოთო.

ყოველს ამას რომ კაცმა თვალი დააკვირვოს, აშკარად გამოჩნდება, საით ჰსურთ მიუბრუნონ თავი ბოლგარიის საქმეებსა. აშკარაა, უნდათ რომ ბოლგარიის საქმე დიპლომატიას ჩაუგდონ ხელში და იმას აღეჭვინონ იქამდე, ვიდრე საჭირო დრო მოგებული იქმნება. დღეს ბოლგარიის საქმე ამ გზაზეა დაყენებული და საკვირველი არ არის, თუ საქმე კონფერენციაზედ მივარდება. ამაზედ ხმები კანტი-კუნტად ისმის კიდეც და თუ ეს მოხდა, თვითონ დიპლომატებმა იციან სადამდინაც გააჭიანურებენ. ამისათვის დიპლომატები კარგად დახელოვნებულნი არიან და ჭკუა არ ესწავლებათ.

## ახალი ამბავი

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ მთელ ქვეყანაზე განთქმულს დიდს ფულის პატრონს და ბანკირს როტშილდსა განზრახვა აქვს, შეისყიდოს მთელი კავკასიის ვენახები, აკეთოს ევროპიელების გემოვნებაზედ ჩვენებური ღვინოები და გაიტანოს სამზღვარ-გარეთ გასასყიდად. ამავე როტშილდს აქვს შესყიდული თითქმის მთელის ისპანიის ვენახები, რომლის ღვინოებსაც თითქმის ყველგანა აქვს გასავალი.

# ფელეტონი

## ცოდვა სიყვარულისა

რომანი პოლ ბურჟესი

(დასასრული *)

### XI

ზაფხული იყო. პარიჟი მორთული და მოკაზმული პატარძალსავით იცქირებოდა, როცა არმანი თავის დაბრუნების შემდეგ ლონდონიდამ, მიდიოდა ეტლით ლაროშფუკოს ქუჩისაკენ... ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა. ზაფხულის ნიავი საამურად აშრიალებდა ელისეს მინდვრებზე ხის ფოთლებსა. დღევანდელი დღე ისეთი მოწმენდილი და მზიანი დღე იყო, რომელიც ყოველს ქალს გაალამაზებს ხოლმე, მაგრამ არმანის გულში-კი შავი ნისლი ჩაწოლილიყო. შავი და ბნელი ფიქრები ყოველს წუთს თანა სდევდნენ არმანსა და მოსვენებას არ აძლევდნენ. განსაკუთრებით უფრო იმ ზამთრის ღამის ფიქრი აწუხებდა, როდესაც ფეხით მიდიოდა სწორედ ამავე ქუჩებში და მეორე დღეს ელენე პირველად უნდა ენახა მარტოდ-მარტო. ჯერ წელიწადიც არ იყო გასული მასუკან. რა სწრაფად მიჰქრის დრო და რამდენი საბედნიერო იმედი მიაქვს თან! მართალია, იმ ღამესაც საშინელი მოწყენილობა ჰკლავდა არმანსა, მაგრამ ის მოწყენილობა დღევანდელ მოწყენილობას არა ჰგავნდა და ჰგრძნობდა, რომ ისევ ეხლანდელი მოწყენილობა და დარდი ერჩივნა მაშინდელსა. არმანი ეხლა ისე აღარ მოიქცეოდა, როგორც მაშინ მოიქცა. მაშ სჩანს, სინიდისის მხილებამა და ქენჯნამ განსწმინდა არმანი? მაშ ტანჯვა და წამება აპატიოსნებს, აკეთილშობილებს კაცს? მაგრამ რა სარგებლობა უნდა მოგვცეს ამ კეთილშობილებამ, თუ-კი იგი კეთილშობილება მხოლოდ იმას გვაჩვენებს, რა ცუდადა და ცოდვილად მოვიხმარეთ ჩვენი ძალა და ღონე.

არმანმა ყვავილების ბაზარზე გაიარა და სიამოვნებით შეისუნთქა კეთილ-სურნელება ყვავილთა და მცენარეთა. არმანს მოაგონდა, რომ შარშან ზამთარში ელენეს იის კონებს მიუტანდა ხოლმე. ელენე ერთ-ერთს იას უთუოდ რომელსამე თავის საყვარელს წიგნში ჩასდებდა ხოლმე. ერთი წიგნი სულ გავსებული იყო იითა. ერთხელ ეს წიგნი მისცა არმანს წასაკითხად და პირველს გვერდზედ დააწერა: „გაუფრთხილდით ჩემს პატარა ყვავილებსაო“,—აი რა ნაირის ყმაწვილურის გულ-უბრყვილობით და სიყვარულით ჰზრუნავდა ელენე ყველა იმ მცირე საგანზედაც-კი, რაც ასე თუ ისე შეეხებოდა იმათს საერთო ტრფიალებასა. მერე როგორ მოვექეცი მე ამ გვარის თავ-განწირულის ერთგულებისათვისაო? ასეთმა ერთგულებამ და აღგზნებულმა სიყვარულმა არ დაჰღუპა ელენე ჩემის მიზეზითაო?

არმანი უკვე შაზელების სახლის კარ-წინ იდგა. არმანმა დააწკარუნა ზარი და შევიდა თუ არა პატარა ეზოში, გაისმა ზარივით წმინდა, მხიარული ხმა: „ბ-ნი დე-კერნი, ბ-ნი დე-კერნიო!“—პატარა ანრი, რომელიც თავის გამდელთან ერთად სასეირნოდ მომზადებულიყო, სიხარულით მიეგება არმანს. ამ ამბავმა უფრო დაალონა არმანი. არმანს გული შეეკუმშა ტკივილითა, როცა შენიშნა, რომ ასეთის სიყვარულით მიცქერის ის ყმაწვილი, რომელიც შვილია ჩემ-მიერ ისე გაწამებულისა და გატანჯულის დედა-კაცისა და ისე მოტყუებულის კაცისაო. არმანმა ჰკითხა ანრის:

— შინ არის მამა-შენიო?

— მამა შინ არ არის,—უპასუხა ანრიმ,—და დედა-კი შინ არის. დედა ძალიან ავად იყო, როცა თქვენ წასვლა დააპირეთ.

— ეხლა როგორღაა?

— ეხლა უკეთ არის...

გამდელმა წაიყვანა ყმაწვილი სასეირნოდ. არმანი შევიდა ტალანში. ავიდა ხის კიბეზე, რომელზედაც წითელი ქეჩა იყო დაფენილი, და რომელსაც ელენეს სასტუმრო ოთახისკენ მიჰყავდა მიმავალი. რა გულდამშვიდებით ადიოდა ხოლმე ამ კიბეზედ არმანი და პირ-შავად ჰღალატობდა თავის ყრმობის მეგობარსა! არმანი შევიდა სასტუმრო ოთახში, სადაც ისე ბევრსა ჰკოცნიდა ხოლმე თავის საყვარელს ჩუმად, თითქო ქურდიაო, რაკი სახლის პატრონი გასცდებოდა ხოლმე თავის სახლის კარებს. რა მიზეზი იყო, რომ მაშინ ისე არხეინად შესცქეროდა არმანი თავის საქციელს და ეხლა კი ამ საქციელის გახსენება ასე აწუხებდა და ცეცხლს უკიდებდა გულზედა? მოსამსახურემ გაუღო კარები არმანსა და ხმა-მაღლა წარმოსთქვა მისი სახელი. ელენე ამ დროს ფანჯარასთან იჯდა და ხელ-საქმე ეჭირა. არმანის სახელი რომ გაიგონა, თავი მაღლა აიღო და ხელ-საქმე მუხლებზე დაიდო. ელენე უფრო კიდევ მეტად გამხდარიყო სახეზე მას შემდეგ, რაც არმანმა უკანასკნელად ჰნახა. არმანმა მაშინვე შეატყო, რა ძრიელ ემოქმედნა ელენეზედ დარდსა და მწუხარებასა: ელენეს თვალები ჩასცვივნოდა, ნიკაპი ისე დარგვალებული აღარა ჰქონდა, ნაცრის ფერი კაბა, რომელშიაც წარსულს ზაფხულს ენახა ელენე, ეხლა ნათხოვარივით ადგა ამ ქალს და უფრო ცხადად ამტკიცებდა, რა ნაირ გამხდარიყო ამ უბედურის ქალის ტანი.

ელენემ ხმა არ ამოიღო. არმანიც ერთს წამს გაჩუმებული იყო. გონება-დაუტანებლად ეძებდა არმანი იმ სავარძელს, რომელსაც ოდესმე ახლო მიიდგამდა ხოლმე ელენესკენ, რომ უფრო მოხერხებით ველაპარაკოთ ერთმანერთსაო. ეს სავარძელი აღარსად არა სჩანდა. არა სჩანდა აგრეთვე ის პატარა ტახტიცა, რომელიც უწინ გარდი-გადმო იდგა ოთახში, ბუხარს ახლო.

ვინ იცის, რამდენი საღამო გაეტარებინათ ორივეს ამ ოთახში სასიამოვნო ლაპარაკითა. ელენე იმ ტახტზედ იჯდა ხოლმე და არმანი-კი თავის სავარძელში. უთუოდ იმიტომ გაატანინა მოტყუებულმა ელენემ ეს ვეჯი ამ ოთახიდამ, რომ აღარ უნდოდა გაეხსენებინა თავისი წარსულიო, გაიფიქრა არმანმა. ოჰ, რომ სცოდნოდა არმანს, რა იყო ნამდვილი მიზეზი ელენეს ასეთის საქციელისა!..

არმანი ელენეს ახლო დაჯდა სკამზედ, გამოართვა ხელი და უთხრა:

---

*) იხ. „ივერია“ № 252.

ეროვნული

⁂ გუშინწინ, კვირას, 23 ნოემბერს, ქართულ თეატრში იყო ბენეფისი ჩვენის ნიჭიერის არტისტის ქალისა საფაროვ-აბაშიძისა. წარმოადგინეს სამ-მოქმედებიანი კომედია „დავიდარაბა“ და ვოდევილი 1 მოქ. „ბარაქალა მასწავლებელო.“ თეატრი თითქმის სავსე იყო და თუ ზოგიერთი ბილეთები არ გაიყიდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ ფასები ძალიან მოემატებინათ. მაგალითად, 1 წყება ღირდა 4 მან., 2 და 3—3 მან. და ამის დაგვარად ფასები მოემატებინათ სხვა ადგილებზედაც. სასიხარულო ის არის, რომ ბილეთები წინ-დაწინვე არავისათვის გაუგზავნიათ, როგორც ჰქონდათ ჩვეულებად წინად და მაინც კიდევ ბევრი ხალხი მოგროვდა. მობენეფისემ მიიღო საჩუქრად ვერცხლის ყავადანი თავის მოწყობილობით, ერთი ხელთ-ქმნილი მტრედი, რომელსაც ნისკარტში ეჭირა ათთუმნიანი ფული, ერთი გვირგვინი და, ვგონებთ, ერთი პირ-გაშლილი კალათა კანფეტებითა.

⁂ მანგლისისკენ სოფელ ღვევსა და პატარა თონეთში უცნაური საქონლის ჭირი გაჩენილა. ავად გახდება თუ არა საქონელიო, დაიწყებს ღრიალს, დარბის აქეთ-იქით და პირიდამ დორბლი სდისო. ჯერ-ჯერობით ამ სატკივრით გახდა ავად ერთი ხარი, ერთი კამეჩი და ორი ძროხაო. ამათში ერთი მოკვდა ავად-მყოფობით, ორი თოფით მოჰკლეს და ერთიც ხეზე ჰყავთ მიკრული. აქაურები ამბობენ, რომ ამ 40 დღის წინად ჩვენ სოფელში ერთი ძროხა დაგლიჯა მგელმა. ის მგელი უთუოდ ცოფიანი იყო და ერთის დაცოფილისაგან ცოფი სხვა საქონელსაც გადაედოო. ტფილისითგან უკვე გაიგზავნა ბეითალი, რომელმაც უნდა შეიტყოს ადგილობრივ რა სენია ღვევსა და პატარა თონეთში გაჩენილი სატკივარი საქონლისა.

⁂ შორაპნის მაზრიდამ გვწერენ, რომ ჩვენსკენ საშინლად გავრცელდა ქურდობაო. ღამე ისე არ გავა, რომ არავინ არ გაიქურდოს. ამას წინად ხომ ისეთი გასაოცარი ქურდობა მოხდა, რომ არ ვიცით, რა გვეშველება და ან როგორ ვუპატრონოთ ჩვენ თავსაო. სოფელს ფარცხნალში ესტუმრნენ ქურდები აზნაურს გლახა ლეჟავას. ქურდებმა სუყველაფერი წაილეს, რაც-კი ხელში მოხვდათ: ტანისამოსი, ლოგინი, სამოვარი, უნაგირი ქალისა. სკივრები და ყუთები სულ გადმოებრუნებინათ. ფული ხომ წაელოთ და წაელოთ და ასე გასინჯეთ, რომ ფერ-უმარილიც-კი არ დაეტოვებინათ. ქურდები ისე გათამამებულიყვნენ, რომ ქურდობის დროს პაპიროსიც-კი ეწიათ და ნამწვი პაპიროსები იქვე ოთახში დაეტოვებინათ. ბევრს მოაწყდ მოაწყდა საწყალი სახლის პატრონი, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვერ იპოვნა, პირ-იქით, ბევრი მტრად გადიკიდა იმის გამო, რომ ქურდობა დასწამა რამდენსამე კაცს.

⁂ ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ექმნება მორიგი კრება, რომელზედაც შემდეგი საგნებია დანიშნული განსახილველად: საქმენი საზოგადოებისანი, მოხსენება სარევიზიო კომისიისა საზოგადოების მოქმედების თაობაზე წარსულს, 1885 წლის განმავალობაში და მოხსენება ავ. არასხანიანცისა „ალებ-მიცემა და ვაჭრობა პურისა ამიერ კავკასიაში“. არა-წევრთაც ნება აქვთ დაესწრონ ამ კრებაზე.

⁂ 5 დეკემბერს, ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევად საქმე ოზურგეთის მომრიგებელ მოსამართლის გაუკადრისობისა და შეურაცხ-ყოფის თაობაზე.

⁂ ტფილისში თან-და-თან უფრო ძლიერ ვრცელდება ყელის ტკივილი. თუ სასწავლებლების მთავრობამ არავითარი ღონის-ძიება არ მიიღო და ავად-მყოფი ყმაწვილები არ განაცალკევა სხვა ყმაწვილებისაგან, ეს გადამდები სენი უფრო ძლიერ მოედება სასწავლებლებს და დიდად აზარალებს.

⁂ დღეიდამ ტფილისის საქალაქო პირველისა და მეორის სესხის ტირაჟში გამოსულ ობლიგაციების კუპონების განაღდება შეიძლება პეტერბურგს იქაურ ვოლგისა და კამის ბანკშიო, ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზ.“

⁂ ბათუმში ამას წინად, როგორც ამბობს გაზ. „კავკაზი“, შეუპყრიათ რამდენიმე კაცი, რომელნიც ყალბს 25 მანათიანს ქაღალდის ფულს ასაღებდნენო. ერთია ვინმე ოვანეს ზარტარიანცი, მეორე თელაველია, გვარად მიხეილ იაკუბოვი და ვიღაც არტემ მოლდავანოვიო.

⁂ მთავრობას დაუმტკიცებია, რომ ბაქოში იარმარკობა გაიმართოს ხოლმე მაისის 6-დამ 1-ივნისამდე.

## დამაკვირდი!

ბედი ვერ გარდაჰქმნის ზნესა: იგი ზნეს მარტო გამოამჟღავნებს ხოლმე.

(ფენელონი)

⁑

ერიდენით და უფრთხილდით თქვენს საკუთარს ზნესა: ზნე იმისთანა მტერია, რომელიც თანა-გდევთ ყველგან სიკვდილის კარამდინა.

(ბოსსუეტი)

⁑

ჭკუა ჰფუჭდება მარტოობაში, სათნოება—წუთი-სოფელში, გული—ცუდს საზოგადოებაში, გემოვნება—სოფელში.

(სალლენტინი)

⁑

მაშ რამ გვახაროს
რამ განუგეშოს,
ან შმუნვის ცრემლი ვინა მოგვხოცოს,
თუ სიყვარული,
ზეგარდმო მადლი,
ღვთისა კურთხევად არ მოგვევლინოს?

(თ. გრ. ორბელიანი)

⁑

იცოდეთ, ყოვლი ბუნება
გვართაგან მაიზიდება.

(მეფე ვახტანგ VI)

⁑

მარგალიტი არვის მიჰხვდეს
უსასყიდლო-უვაჭრელად.

(რუსთაველი)

⁑

მარხულობა და სასჯელი
გონების გასაწმენდია.

(დავ. გურამიშვილი)

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ჩვენს სოფელს ერთი უბედურება დაეკვება: ორი მებატონე ერთმანერთს ეჩხუბებიან და მამულს არ ანებებენ, თუმცა ერთისათვის სამართალს სადავო მამული უკვე დაუკუთვნებია. ამაზედ აქვთ ერთი ჩხუბი და ვაივაგლახი და ჩვენ-კი გლეხები შუა ვიჭყლიტებით.

ლეინობისთვის 24-ს ერთმა მებატონის მოურავმა, იმ მებატონისამ, რომელსაც სასამართლომ დააკუთვნა სადავო მამული, ჩამოიყვანა გორიდამ სასამართლოს ბოქაული და აწერინა ამ მებატონის კუთვნილი შემოსავალი, რაც ერგებოდა ნაყმევთაგან. ვიდრე ბოქაული დაგვიბარებდა, მეორე მებატონემ დაგვიბარა და გვიბრძანა, ბოქაულს არაფერი გაუგონოთ და არ უთხრათ, რაც გადასახადი გაძევთო. გვიბრძანა, უთხარითო, რაც გარდასახადი გვედვა, ორი თვეც არის კიდეც წაილეს-თქო. ჩვენ გლეხებმა ვერ გავბედეთ ბოქაულთან ტყუილის თქმა, რათა პასუხის გებაში არ მივცემულიყავით და ყველაფერი სიმართლით მოვახსენეთ. მოვახსენეთ ყველამ, ვისზედ რა იყო. ბოქაულმა დასწერა ყველას ნაჩვენები და გვიბრძანა, ჩემს მეტს არავის აღარ დაანებოთ-რაო, თორემ, მეორედ გარდაგხდებათო. ამასთანავე დაგვირიგა უწყებებიც. მეორე მებატონე ძალიან გაგვიწყრა და დაგვემუქრა, იმიტომ-რომ არ შევასრულეთ იმისი ბრძანება. ბოქაული რომ წავიდა ჩვენის სოფლიდამ, ამ მეორე მებატონემ მოგვისია თავის მოურავი ოთხის შეიარაღებულის კაცით, რომელთაც უნდოდათ წაერთმიათ ძალადობით ბოქაულისაგან შეკრული ღალები. ჩვენ ყველა გლეხნი გავმაგრდით, არ მივეცით, მერე გამოგვერეკეს კარში ჩვენი ცოლ-შვილითურთ, ჩადგნენ თვითონ სახლებში, დაგვიხოცეს ქათმები, ახადეს ქვევრებსა, რაც თვითონ უნდოდათ, ხომ დალიეს, რაც არა და, მიწით ავსებდნენ ქვევრებსა; ქერი ხომ აღარ შეგვარჩინეს: ბზის მაგივრათაც ქერს უყრიდნენ ცხენებსა. ვინ მოსთვლის იმ მწუხარებას, რაც იმათ ჩვენ დაგვაყენეს. რომ ნახეს, ჩვენ არ დავემორჩილენით, წასულიყვნენ სასოფლო ნახირში დაეტაცათ ორი ძროხა, ერთი ჩემი და ერთი ჩემის ბიძაშვილისა. (სხვებისა ვერ ეცნათ და იმიტომ ვერ წაეყვანათ.) წავედით მე და ჩემი ბიძაშვილი იმავე დღეს გორში, დავაწერინეთ გორის მაზრის უფროსის სახელობაზედ არზა და ყველა ზემოთ-მოყვანილი ამბავი ჩავაწერინეთ. სხვათა შორის არზაში ვსთხოვდით მაზრის უფროსს, რომ დაენიშნა ფიცხელი გამოძიება, დაებრუნებინა ჩვენთვის ჩვენი საქონელი და ძალადობით მოქცევისათვის და საქონლის დატაცებისათვის, მებატონე თავის მოურავით ან კაცებითურთ სისხლის სამართალში მიეცა პასუხის საგებლად. უფროსმა გვიბრძანა, რომ მე ამ საქმეს გარდავცემ ჩემს მოხელეს გამოსაძიებლადაო. თუ აღმოჩნდება სინამდვილე საჩივრისა, შევასრულებ თქვენ გულის წადილსაო. ავდექით და წამოვედით. ვიფიქრეთ: თითო

---

— მე მოვედი თქვენთან და გთხოვთ, შემინდოთ და მომიტევოთ...

ელენემ განთავისუფლა თავისი პატარა ხელი, რომელიც აკანკალდა არმანის ხელში, და ღრმად დაფიქრებულნი თვალნი მიაპყრა არმანსა. შავი ბაია ელენეს თვალებისა ერთი ორად გადიდდა. შემდეგ წარმოსთქვა ნელისა და თითქო მიმწყდარის ხმით:

— რა მაქვს შესანდობელი და მოსატევებელი... თუ გამაუბედურეთ, ეგ თქვენი ბრალი არ იყო. ახ, ღმერთო!—განაგრძო ელენემ,—რა ნაირად გამოვიცვალე... მე ავად გავხდი, ძალიან მძიმე ავად-მყოფი ვიყავი, მაგრამ მე მინდოდა მეცოცხლა ჩემის შვილისათვის; მინდოდა მეცოცხლა თქვენთვისაც, რომ ჩემის სიკვდილით თქვენ სული არ დაგმძიმებოდათ და სინიდისს არ შეეწუხებინეთ... ვინ იცის, რამდენი ღამე გავათენე უძილოდ, ავად-მყოფობის დროს, იმიტომ-რომ თქვენზედ ვფიქრობდი და ეს ფიქრი არ მასვენებდა!... არა, თქვენ არ იყავით ბრალი, რომ მე არ მერწმუნებოდით. ღმერთო! რა ნაირად მეცოდებოდით...

განუზომელის მადლობით ისმენდა არმანი ამ სიტყვებს სიბრალულისას თავის მსხვერპლის ბაგეთაგან. და აი ის ტვირთსავით მძიმე გრძნობა, რომელიც გულზედ ლოდსავით აწვა, და რომლის მოშორებასაც ამაოდ ცდილობდა, ერთის წამით მოშორდა არმანს და იგრძნო სიტკბოება და სინაზე გულისა.

— ღმერთო, რა ბევრი გტანჯეთ, რა ბევრი გაწამეთ!—სთქვა არმანმა.

— ნუ უსაყვედურებთ თქვენს თავს მაგის გამო,—უთხრა ელენემ ისეთის სიმშვიდითა, რომელმაც მწუხარებაც აგრძნობინა არმანს და მხიარულებაცა. მწუხარება—იმიტომ-რომ ამ სიმშვიდის გამო სჩანდა, როგორ ჰქონდა მოკლული გული ელენესა; მხიარულება კიდევ იმიტომ, რომ იმავ სიმშვიდეში არმანმა წაიკითხა სიბრალული და ეს სიბრალული მალამოსავით ეცხებოდა მის დაწყლულებულს სულს. — დიაღ, განაგრძო ელენემ და დაჰღუნა თავი. მაგ ტანჯვა-წამებამ დამიხსნა და დამიფარა მე. მაგ მწუხარებამ დამაფიქრა და ჩამახედა ცხოვრების ზღვაში.. როცა ჩვენ გავშორდით ერთმანერთს, როგორც თქვენც იცით, მე თითქმის გაგიჟებული დავბრუნდი სახლში; მას უკან ჩავვარდი ლოგინად და ხანგრძლივის ავად-მყოფობის დროს მუდამ ვხედავდი იმ კაცის თვალებს, რომელსაც ვღალატობდი. ღმერთო, რა ერთგულებითა და მწუხარებით შემამცქეროდნენ მე ის თვალები... რაც მე მწუხარება გამოვიარე, იმით იმასაც მივხვდი, რა მწუხარება გამოვატარებინე სხვებსაცა, დავინახე ის ბოროტი, რომელიც დავმართე იმათ, ვინც მე გარშემო მყავდნენ. თვალ წინ წარმომიდგა მაშინ ჩემი საზარელი უნამუსობა და თვით სიკვდილის წინაშე დავიფიცე და აღთქმა დავდე, რომ ყოველის ღონის-ძიებით ვეცდები და პატიოსანი დედა-კაცი შევიქმნები-მეთქი...

ელენე გაჩუმდა. არმანი ატყობდა, რომ ელენეს ჰსურდა ვარადზედ დაეწყო ლაპარაკი; უნდოდა ეთქვა, რომ მე ის კაცი აღარ მიმიღია შემდეგ ჩემს სახლშიო; მაგრამ რაღა საჭირო იყო ლაპარაკი? განა მისი დუმილი, იმის შემდეგ რაც სთქვა, საკმაო არ იყო ამის სათქმელად?

— და აი შემდეგ, დაიწყო მან კვალად,—მე ვფიქრობდი აგრეთვე თქვენზედაც.. სინიდისი დაგიწყებდათ თქვენ კბენასა და მხილებას, რომ მე უნამუსოების გზას დავდგომოდი... ოჰ, მარტო უგუნურს განწირულებას შეუძლიან ასეთი უღირსი შურისძიება ჩაადენინოს ადამიანსა! მაგრამ მე დავინახე თქვენი ცრემლები და ვსთქვი ჩემ თავად: თუ არმანი იტანჯება და სწუხს ჩემთვისა, მოვა კიდეც ოდესმე ჩემთანა-მეთქი, ხოლო თუ არ იტანჯება, რა საჭიროა, რომ ტყუილად ხრა ეტანჯო მეთქი? მაგრამ არა, ის უთუოდ მოვა და მე ვეტყვი, რომ დამშვიდებული იყოს მეთქი... ჩემთვის დღეს აღარა არსებობს-რა იმის მეტი, რომ ჩემი მოვალეობანი უნდა შევასრულო წინაშე ჩემის შვილისა და იმის მამისა. თქვენც უნდა იცოდეთ, რომ თუ მე იმდენი ძალა კიდევ მოვიპოვე და ასე გადავსწყვიტე, ეგ იმიტომ-რომ მცირეოდენი სიყვარული კიდევა მქონდა თქვენი და სწორედ იმ სიყვარულმა მომცა ღონე, ამ გზაზედ დამაყენებინა ჩემი ბედი... ახლა ჩვენ ერთმანერთი აღარ უნდა ვნახოთ ხოლმე და ამიტომ მე ვგონებ ნება მაქვს ერთი რამ გთხოვოთ. რასაც გთხოვთ, უნდა აღმითქვათ, რომ შემისრულებთ, ჩემდა სახსოვრად. იმის სამაგიეროდ, რაც მე თქვენთვის გავწირე—დაუმატა ელენემ და ღრმად ამოიოხრა,—თქვენ უნდა აღმითქვათ, რომ არას დროს არავის გულს ფეხ-ქვეშ აღარ გასთელავთ და პატივისცემით მოექცევით გრძნობას ყველგან, სადაც უნდა შეგხვდეთ იგი გრძნობა ..

არმანი გაჩუმებული იყო... ამ უკანასკნელმა სიტყვებმა, რომელიც ცხადად ამტკიცებდა, რომ ელენეს სული სრულიად გადახალასებულ და წამების გამო განწმენდილ და განათლებულიყო, სრულიად განჰფანტა და მიმოაბნია არმანის საშინელნი იჭვნეულობანი, რომელნიც ისე აწამებდნენ ლონდონში ყოფნის დროს. არმანი მიხვდა, რაოდენს ბოროტებასა სთესავს ქვეყანაზედ მარტო თავისთავის ამყოლი და იჭვიანი უსამართლობა და იგრძნო, რაოდენად უხვად ავრცელებს სიკეთეს სიბრალული და გულ-მტკივნეულობა ჩაგრულთა მიმართ, იმიტომ-რომ შემიცოდა მეო, იფიქრა არმანმა, იმიტომ-რომ შეიბრალა სიყვარული თავის ქმრისა და მერმისი თავის შვილისაო... ელენემ შეაყენა თავისი თავი საშინელსა და საბედისწერო გზაზედაო... ელენეს გრძნობამ შეცოდებისა და შებრალებისამ დასთრგუნა და მიმოჰფანტა ყოველივე, რაც-კი სამწუხარო და შავი და ბნელი იყო ჩვენს წარსულს ცხოვრებაშიო. და აი სწორედ ამ გრძნობის წყალობით ელენე კვლავ შეიძლებს ახალის, მსხვერპლით განწმენდილის ცხოვრებით იცხოვროსო, თუ თვით მეც შევიბრალებ ამ საწყალს ქალს და დავეხმარებიო... ის ხსნა, რომელიც ვერ მისცა არმანს ვერც უძლურმა გონებამ, ვერც სარწმუნოების დოღმატებმა, იმიტომ-რომ ურწმუნო იყო, მან ჰპოვა ახლა იმ სათნოებაში, რომელსაც შებრალება და შეწყნარება ეწოდება, რომელსაც არც არავითარი საბუთი ეჭირვება და არც არავითარი ზე-შთაგონებული გამოცხადება. ნეტა თვით იგი სათნოება შებრალებისა და შეწყალებისა განუწყვეტელი და უმაღლესი გამოცხადება არ არისო?!.. და აი არმანის გულში დაიბადა ისეთი რამ, რაც აზრსა და მნიშვნელობას აძლევდა მის სიცოცხლეს, მის მოქმედებას—ეს იყო რელიგია, ანუ სარწმუნოება კაცობრიობის ტანჯვისა და წამებისა.

გრ. ყიფშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძროხა გვყავნდა, ის იყო ჩვენი ცხოვრება, და ის რომ აქ დავაგდოთ და ჩვენ წავიდეთ, რა იქნება. ვიდრე უფროსი გამოიძიებს ჩვენს საქმეს, მებატონე შიმშილით დაგვიხოცავს საქონელს და მერე მკვდრები თუნდ დაგვიბრუნონ, თუნდ არაო. მეტი ღონე არ იყო, ჩვენ დეპეშა მივსწერეთ გუბერნატორს და ვსთხოვეთ, სასტიკი გამოძიება დაენიშნა და საჩქაროდ დაებრუნებინა ჩვენთვის ძროხები. გუბერნატორმა შეიწყნარა ჩვენი თხოვნა. მესამე დღეს დაგვიბარეს ჩვენც, მოწმებიც და ჩვენის სოფლის მამასახლისიც აღმოჩნდა ჩვენი არზის სინამდვილე ამისათვის ფიცხლავ დაიბარეს მებატონეს სოფლიდამ მამასახლისი და უბრძანეს, ამავე წუთში წადი და ის საქონელი აქ გამორეკეო. მამასახლისი წავიდა, მაგრამ არ დაენებებიათ და ერთი ხელობა ცარიელი გამოვიდა. მაზრის თანაშემწემ შესტუქსა და უთხრა, ერთის საათის უკან თუ აქ არ მოგიყვანია საქონელი, სატუსაღოში გაგზავნიო. წავიდა მამასახლისი მეორედ და გამოიყვანა ჩვენი ძროხები. ამ რიგად დაგვიბრუნეს ჩვენი საქონელი და სიხარულით მივრეკეთ ჩვენ სახლში. ჩვენის ცოლ შვილის ტირილის საცოდაობას იქაურობა დაეწვა. ჰგონებოდათ ეს არის, ბატონმა საქონელი დაგვტაცა და სამართალში რაღას დავაკლებთო,

ასე, ამ რიგათ ერთი კვირაც ამ საქმეს მოვუნდით და მოვილალენით. ფოსტის ფულისათვის გვქონდა მომზადებული ორიოდე მანეთი, ისიც იმის დევნაში დავხარჯეთ და დავრჩით ცარიელები. არ ვიცით, უფროსმა ჩვენ საჩივარს რა გზა მისცა. მართალია, საქონელი დაგვიბრუნეს, მაგრამ რომელი კანონია, რომ კაცმა მოგპაროს რამე, მარტო მოპარული აზღევინო და საკანონო აღარა დასდოს რა კანონმა, მით უმეტეს, რომ დავტყვევდით ყოვლის მხრივ და ეხლა რომ ასე ჩაიაროს საქმემ, მაშ ხვალ უარეს საქმეს გვიზამს იგივე მებატონე და ეს რას ეგვანება?!

ქალელი გლეხი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გასაოცარია ამ დიპლომატების საქმე! მთელი ევროპა თითქმის თავის ფეხამდე შეთოფიარაღებულია, ყველა ჰხედავს, რომ დიდნი სახელმწიფონი ერთმანერთს ემუქრებიან. დიპლომატებსაც, რასაკვირველია, ყველა ეს კარგად ესმით, მაგრამ ისინი ყველას არწმუნებენ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. ყველას გვესმის, რომ ეს მშვიდობიანობის მოყვარეობა მხოლოდ ლიტონი სიტყვაა, საქმე სრულიად სხვას გვიჩვენებს.

საქმაოა,—საფუძვლიანად ამბობს გაზეთი „С.-Петербургскія Вѣдомости", კაცმა მარტო თვალი გადაავლოს ევროპას და მაშინვე დარწმუნდება, რომ ყველა გაცხარებულად ემზადება, ყველა მოელის რაღაც დიდ საქმეს, რომელიც სახუმარო არ არის. თვით „მშვიდობიანობა" დღეს, როდესაც მთელ ევროპას ჯარში თითქმის ქუდზე კაცი გამოჰყავს, მშვიდობიანობას სრულიად არა ჰგავს. ასეთი „მშვიდობიანობა" მძიმე, აუტანელი ტვირთია ევროპისათვის და ყველა ჰგრძნობს, რომ დღევანდელი მდგომარეობა ომიანობის დროზედ უარესი და საშინელია.

ევროპა, გაზეთის აზრით, ბისმარკის პოლიტიკით არის დღეს ამ ყოფაში ჩავარდნილიო და რაც გინდა ძალიანაც არა ჰსურდეს დღეს ბისმარკს ომი, ევროპა მაინც ემზადება, რომ თავი დაიხსნას ამ მძიმე უღელისაგანაო.

⁂

ევროპის დღევანდელ პოლიტიკის გამო ჟურნალი „Недѣля"-ც თითქმის ამავე აზრისაა, თუმცა სულ სხვა ენით კი ლაპარაკობს ჟურნალი ასეთ პოეტურ, ბუნდოვან სურათს გვიხატავს.

დასავლეთიდამ რაღაც გრიგალის ხმა ისმის. შორს, დასავლეთის საზღვრიდამ რაღაც შავი, ცივი ღრუბელი ამოდის და ცასა ჰფარავს. აი ხან გარცინსა და ხან ვენაში ოდნავ დაიქუხებს, ხან ლონდონიდამ საშინელის ჭექა-ქუხილის ხმა გაისმის, ხან ერთბაშად ყველაფერი მიყუჩდება და აი ერთბაშად გამოტყვრება ერთი უცნაური დეპეშა და სრულიად შეარყევს, ააშფოთებს ამ მყუდროებასა.

ბოლოს გაზეთი ამ გვარ პოეტურ ენას თავს ანებებს და პირ-დაპირ ამბობს:

ვისაც ეშინიან ამ ქარიშხალისა, უნდა წინადვე თავდარიგს შეუდგეს, ქოლგა გაშალოს და სახლისკენ გაშუროს, ე. ი. საქმეები დროითვე რიგში მოიყვანოსო...

# უცხოეთი

**ბოლგარია.** სამხედრო მინისტრს ნიკოლაევს ხელ-ახლად გამოუცხადებია სამსახურ-გარეშე მყოფ ოფიცრებისთვის და აღუკრძალავს, რომ პოლიტიკაში არ გაერიონო.

— იმ დეპუტაციაში, რომელიც ევროპის დიდთა სახელმწიფოთ უნდა მოელაპარაკოს, სხვათა შორის, აღმოსავლეთ-რუმელიელი კალჩევიც ურევიაო. დეპუტაციას მინდობილი აქვს აგრეთვე, რომ აღმოსავლეთ-რუმელიის საქმის გამო იშუამდგომლოს დიდთა სახელმწიფოთა წინაშე. სტოიანოვი პრინც ალექსანდრე ბატტენბერგს დაუბარებია და დარმშტადტში მიდისო.

— ბუხარესტითგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новости"-ს, რომ ბოლგარიის დეპუტაციას, რომელიც პრინც ალექსანდრე ბატტენბერგთან მიდიოდა, სოფიიითგან მოწერილობა მოუვიდა, რომ უკან დაბრუნდით და ბატტენბერგთან ნუღარ წახვალთო.

— სამეგრელოს თავად ნიკოლოოზის ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატად ამორჩევის საქმე ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა დიდთა სახელმწიფოთა შორისაო, ამბობს გაზ. „Politische Correspondenz", მოლაპარაკებაა ამ ჟამად სამეგრელოს თავად ნიკოლოოზის კანდიდატად დანიშვნაზედ და იმის გამო, რომ როგორ უფრო უკეთესი იქმნება ბოლგარიის საქმეების გადაწყვეტაო. ვენის გაზ. „Fremdenblatt"-ის სიტყვით, თავად ნიკოლოოზის კანდიდატად დანიშვნის გამო არც ერთს დიდს სახელმწიფოს არ გამოუცხადებია უარიო და ყველანი დაეთანხმნენ რუსეთს, რომ თავადი ნიკოლოოზი ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატად დაინიშნოსო. თუმცა ზოგიერთა დიდთ სახელმწიფოთ ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ, რომ თანახმა ვართ მთავარ ნიკოლოოზის კანდიდატობაზედო, ხოლო იმიტომ კი არა, რომ წინააღმდეგნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ამ ჟამად მეტად გამწვავებულია ბოლგარიის საქმე და ჯერჯერობით ბოლგარიის საქმეების დამშვიდება და წესიერებაში მოყვანაა საჭიროო.

— სოფიიითგან დეპეშით აუწყებენ 12 ნოემბერს გაზ. „Neue Freie Presse"-ს შემდეგს ცნობებს იუნკრების სასწავლებლის არეულობის გამო, რომელიც ამ ბოლოს დროს იყო. ამ საქმის გამო აი რა გამოუაშკარავებია გამოძიებას: იუნკრის სასწავლებლის ორ ოფიცერს თოფავიჩაროვსა და ვეტცელს,—ვეტცელი რუსეთის ქვეშევრდომია და რუსეთის ჯარში ოფიცრად უმსახურნია,—შეუდგენიათ შეთქმულობა. ამ შეთქმულობაში მონაწილეობა მიუღიათ თორმეტამდე იუნკერს. ეს თორმეტი იუნკერი 21 აგვისტოს ამბოხების გამო შერაცხული ყოფილა ჯარის-კაცებთა რაზმში და გრუევისა და ბენდერევის განთავისუფლების დროს ამათთვისაც უპატიებიათ დასამაშუდი. შეთქმულთ განზრახვა ჰქონიათ, რომ ხუთშაბათს, დილის 5 საათზედ თავს დაესხათ ძილის დროს რეგენტებსა და მინისტრებს: სტამბულოვსა, მუტკუროვსა, ჟივკოვსა, ნიკოლაევსა და პეპოვს და დაეხოცათო. შეთქმულებს ამედი ჰქონიათ, რომ დანარჩენ მოსწავლეთაც მოვიმხრობთო, მით უფრო, რომ ოფიცრებს თოფავიჩაროვსა და ვეტცელს უარს ვერ ეტყვიან მოსწავლეებიო. გამოაშკარავებულა თუ არა შეთქმულობა, ყველა იუნკრებისთვის იარაღი აუხსნიათ და ორივე ოფიცერი დაუტუსაღებიათ. მკვიდრნი ძალიან აღშფოთებულნი იყვნენ ამ შეთქმულობის გამოო. გაზეთის სიტყვით, ამ შეთქმულთა საქმეს სამხედრო სასამართლო 25-სა და 26-ს ნოემბერს გაარჩევსო.

— ბოლგარიის სამთავრო სულ 21 ოლქად ყოფილა გაყოფილი. მარტო ამ სამთავროში, რუმელიის გარდა, მცხოვრებელი 2,007,919 სულია: 1,027,803 სული მამათა სქესსა და 980,116 სული დედათა სქესისა. სარწმუნოების მხრივ 1,404,409 სული მართლ-მადიდებელია, მუსულმანი—578,060, ებრაელი—14,342 და 11,108 სულიც სხვა-და-სხვა სარწმუნოებისანი. ყოველს 1000 მცხოვრებელზედ 670 სული ბოლგარულს ენაზედა ლაპარაკობს, 263 სული ოსმალურს, 24 რუმინულს, 19 ბოშურს და 24 სული სხვა-და-სხვა ევროპიულ ენებს.

**ეგვიპტე.** ვენითგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Новое Время"-ს, ვითომ ინგლისს თანახმაა გერმანიის რჩევისამებრ ეგვიპტითგან ჯარები გამოიყვანოსო და მხოლოდ ალექსანდრიაში ისევ ეყოლება ჯარებიო.

— გაზ. „Daily News"-ი აღნიშნავს სერ დრუმონდ ვოლფის ინგლისში დაბრუნებას და ამბობს: ვოლფის დაბრუნება ინგლისში იმას მოასწავებს, რომ ეგვიპტის საქმე ჩქარა გადაწყდებაო. ეგვიპტე დაწყნარებულიაო,—ამბობს ეს ლიბერალური გაზეთი,—და ეგვიპტის ყველა კეთილის-მყოფელნი დიდნი სახელმწიფონიც მშვიდობიანად არიანო. თუ სრულიად არ არის დამშვიდებული და გადაწყვეტილი ეგვიპტის საქმე, ისე ძალიან მაინც აღარ არის გამწვავებული, როგორც აქამდე იყოვო. რაც შეეხება ოსმალეთს, ოსმალეთს ეხლა მეგობრული დამოკიდებულება აქვს ინგლისთან, წინააღმდეგი არ არის, რომ ინგლისი იმ დრომდე იყოს ნილოსის ნაპირებზე, ვიდრე თავის სურვილს ეგვიპტის საქმის წესიერებაში მოყვანისას არ შეასრულებსო და არც იმის მოსურნეა, რომ ეგვიპტის საქმე ევროპის რომელისამე დიდ სახელმწიფოს შემწეობის მიერ იქმნას გადაწყვეტილი და არა ინგლისის მიერო.

## ბიბლიოგრაფია

ერთმა მოსკოველმა სტუდენტმა ბ-ნმა ალ. გარსევანიშვილმა მოსკოვის რუმიანცევის ბიბლიოთეკაში იპოვა ფრიად საინტერესო ძველი წიგნი, რომელიც შეეხება ჩვენს სამშობლოს, საქართველოს.

ამ წიგნში მოთხრობილია მოკლე ისტორია საქართველოსი და ზოგიერთი შესაძრწუნებელი ამბები ერეკლე II-ის დროიდამ. ეს წიგნი დაბეჭდილია პეტერბურგს 1779 წელსა, (in 8 folio) 104-ს ფურცელს შეიცავს და სათაურად აქვს: «Исторія георгіанская о юношѣ князѣ Амилахоровѣ съ краткимъ прибавленіемъ исторіи тамошней земли отъ начала до нынѣшняго вѣка, каторую разсказываетъ Усимъ, купецъ анатолскій сотоварищамъ своимъ между разными извѣстіями, Спб. 1779 г.» (ქართველთ (გეორგიანთ) ისტორია ახალგაზრდა თავად ამილახვარზე, მოკლე დამატებით იქაურის ქვეყნის ისტორიიდამ დასაბამით უკანასკნელ დრომდე, რომელსაც სხვათა ამბავთა შორის მოუთხრობს თავის ამხანაგებს უსიმი ანატოლელი ვაჭარი).

ეს წიგნი გარდა იმისა, რომ გვაუწყებს საქართველოს არა სანუგეშო მდგომარეობას მე-XVIII საუკუნის დამდეგს, შესანიშნავია იმით, რომ ერეკლეს II-ს ხასიათს გვიხატავს სულ სხვა მხრივ, ვიდრე ქართლის ცხოვრება და სხვა ისტორიული მასალები, ეს წიგნი საინტერესოდ მიგვაჩნია კიდევ იმით, რომ ნაამბობი შეეხება მაშინდელს მოწინავე კაცსა, თავად ამილახვარს, რომელიც, როგორც ამ წიგნიდამ სჩანს, განათლებული და თავის ქვეყნის მდგომარეობის მცოდნე ყოფილა.

1879 წლის „ივერიის" ერთს წიგნში ბ-ნი ნ. მთვარელიშვილი თავის ისტორიულ წერილებში „ანტონ I, საქართველოს კათალიკოზი" ამბობს, რომ არ იქნებოდა ურიგო ეს წიგნი ვისმეს ქართულად გადმოეღოო, როგორც ძვირად საშოვარი და ჩვენის ისტორიისათვის ფრიად გამოსადეგი მასალაო.

დღეს ზემოხსენებული სტუდენტი უკვე შეუდგა ამ მემუარის ქართულ ენაზე თარგმნას და ამ მოკლე ხანში კიდეც გაათავებს.

რადგანაც საყოველთაო ჟურნალი არ არსებობს ქართულ ენაზე, სადაც მთლად შეიძლებოდეს ამ თარგმანის დაბეჭდვა, მთარგმნელი აპირებს გაზეთ „ივერიის" საშუალებით მკითხველ საზოგადოებას შეატყობინოს მისი შინაარსი და უფრო საყურადღებო ადგილები.

სასურველია, რომ მოსწავლე ქართველმა სტუდენტებმა ძვირად საშოვარი და გამოსადეგი სხვა-და-სხვა უცხო ენაზე დაწერილი მასალა, ჩვენი ქვეყნის შესახები, ქართულ ენაზე გადმოიღონ და მით ჩვენის სამშობლოს წარსულის გამოკვლევა და შესწავლა წინ წასწიონ.

ნ. ა—ძე

ქ. მოსკოვი
გიორგობის 10-სა.

# გასართობი

მოგეხსენებათ, რომ რაჭველები ყოველს შემოდგომაზე, როგორც-კი რთველს მორჩებიან, გაემგზავრებიან ხოლმე სამუშაოდ სხვა-და-სხვა ადგილებისაკენ, უფრო ხშირადკი ქართლისაკენ, კახეთისა და ქვემო იმერეთისაკენ.

ერთი ქვედელი მამუკა, ქვედი სოფელია ზემო რაჭაში, როდესაც დაბრუნდა თავის სახლში, მეზობლებს ასე უამბო თვისი თავგარდასავალი:—აია ბიჭებო, რა გითხრაყე: შარშან მარტვა წაველი კახეთში და ცხინვალს ჩავიარე. წინ ერთი მედუქნე დამხვდა და მითხრა: მობრძანდი, ჩემო მამაო, ღამდება ეს არის, წასვლის დრო აღარ არისო, კარგი ღვინო, კარგი ქვეშაგებიო.

მე შევაჩერდი მედუქნეს, ჩემი ნაცნობი ხომ არ არი-თქვა. თუ ნაცნობია, რატომ მე ვერ ვიცნობ, რას დამეძებს, ასე გულიანად რომ მპატიჟობს-თქვა. ვკითხე, ქვე სადაური ხარ-თქვა, მე რას მიცნობ-თქვა.

—მგზავრს როგორც შევხედავ, ისე ვიცნობო,—მიპასუხა.

ერთობ გამიკვირდა. მერე მკითხა, ვახშმად რას მიირთმევო.—რაც იქნება შენი ოჯახის მოწყალება, ყველაფერს გიახლები-თქვა.

ძალიან კარგი მაინძელი დამიხვდა, კარგი ლოგინი დამიგო, მარა ქვე-კი არა მძინებია: სულ ამასა ვფიქრობდი, საიდგან მიცნობს და ან რას დამეძებს? ვაი ერთი ეს შემხვდებოდეს ჩემს სოფელში, რომ გადაუხადო სამაგიერო პატივი ცემა-თქვა. დილით არაყი და კარგი საუზმე მომიტანა. წასვლას რომ დავაპირე, ბევრი მადლობა შევსწირე, თუ სადმე შეგხვდი ჩვენსკენ, მე ვიცი და ჩემა კაცობამ-თქვა.

მედუქნეს გაეცინა და გადმოილო ჩოთქას რომ უძახიან და ქვე არ გააჩხაკუნა ი მძიუქვები. მაშინ კი დამიწყო მუხლებმა კანკალი. იანგარიშა და ცხრა აბაზი გამოვიდა. რამ შემაჭამა ცხრა აბაზი მე გასახეთქს! ფული არა მქონდა და სამ მანათიანი ცვლი დამატოვებინა. რატომ მძინარე ნავერცხალი არ ჩაყლაპა მამუკამ.

ქრ. ლობჟანიძე

**პრინცესას უელსისას** ამას წინად პარიჟითგან სხვა-და-სხვა ტანისამოსი მოსვლია და ამ ტანისამოსებში ყველაზედ მეტად ერთი ტანისამოსი მოსწონებია. ამ ტანისამოსს გარეშემო ყომრალი ბეწვი ჰქონია შემოვლებული. ისე მოსწონებია ეს ტანისამოსი პრინცესას, რომ თავის ქმარისთვის დაუძახნია და უჩვენებია. მხიარულს მემკვიდრეს ტახტისას ძალიან გულ-დადებით გაუსინჯავს ტანისამოსი და პრინცესას კი ქება დაუწყია ტანისამოსისა და უთქვამს:

—ყველაზედ მეტად ეს შემოვლებული ბეწვი მომწონს; შენ როგორც მონადირეს და ნადირობის მიმყოლს გეცოდინება, რომელის ნადირის ბეწვი უნდა იყოს ეს ბეწვი?

—ამისთანა ნადირზედ ჩემს დღეში არ მინადირნია, სიცილით უპასუხნია პრინცს, და არც სურვილი მაქვს ნადირობისაო. დეე ისევ ჯირკინის მწმენდავებმა ინადირონ მაგ ნადირზე. ეგ მშვენიერი ბეწვი, რომელიც ეგრე მოგწონს, თაგვის ბეწვიაო. ამ სიტყვების გაგონებაზედ პრინცესას ზიზღით კინაღამ გული შემოჰყრია და მაშინვე ბრძანება მიუცია, რომ ბეწვი შემოარღვიეთ ტანისამოსსაო.

# დეპეშა

22 ნოემბერს

**ბუქარესტი.** ბოლგარიის დეპუტაციას, შედგენილს დიდ სახელმწიფოებთან გასაგზავნად, განზრახვა აქვს ნახოს ვენაში თავადი ლობანოვ-როსტოვსკი და გარდასცეს, რომ ბოლგარიის მთავრობა თანახმაა შეადგინოს ისეთი სამინისტრო, რომელშიაც მოწვეულნი იქნებიან ყველა დასების წარმომადგენელნი, და დღევანდელი სახერო კრება დაითხოვონო. იმედი აქვთ, რომ თუ პეტერბურგში მოისურვებს და ეს დე-

პუტაცია მიიღეს, ყველა ეს საქმე უთუოდ მოხერხდებაო.

თითქმის ყველა აფიცრები, რომელნიც რუმინიაში იყვნენ გადახვეწილნი, რუმინიიდამ წავიდნენ. ბევრი ამათგანი რუსეთში მიდის.

## 23 ნოემბერს

**ბერლინი.** პარლამენტმა კანონ-პროექტი ჯარის მომატების თაობაზე ცალკე კომისიას გარდასცა განსახილველად. ვიდრე კანონ-პროექტს კომისიას გადასცემდნენ, კამათობა ასტყდა. ამ კამათობაში მონაწილეობა მიიღეს მოლტკემა და სამხედრო მინისტრმა. მოლტკეს მაგალითად უფრო საფრანგეთის შეთოფ-იარაღება მოჰყავდა; მან სთქვა, სხვათა-შორის, რომ საფრანგეთთან მორიგება მშვიდობიანობის მომასწავებელი იქმნებოდა ევროპაში, მაგრამ ეგ მორიგება შეუძლებელია იმ დრომდე, ვიდრე საფრანგეთი ალზას-ლორენის დაბრუნებას თხოულობსო. ხოლო გერმანიამ მტკიცედ გადასწყვიტა, რომ ალზას-ლორენი არ დაუბრუნოს საფრანგეთსაო. სამხედრო მინისტრს მაგალითად ის მოჰყავდა, რომ გერმანიის მეზობლებმა წინ გაგვისწრეს ჯარის გამრავლებითაო და არწმუნებდა პარლამენტს, რომ გერმანიის ჯარის მომატება გაამაგრებს მხოლოდ გერმანიის მთავრობის გავლენას მშვიდობიანობის დასაცველადაო.

**ჟურჟევო.** სამსახურიდამ გამოსულთ რუსის აფიცერთ: მაიორებმა ნადეჟდინმა და შოსტაკმა და კაპიტანმა ივანოვმა, რომელთაც მამული აქვთ ბოლგარიაში და შუმლაში სცხოვრობენ, როდოსლავოვის განკარგულებით, მიიღეს ბრძანება შუმლის პრეფექტისაგან, რომ 24-ის საათის განმავლობაში ბოლგარიიდამ უნდა წასვიდეთ, თორემ მალათი გაგზავნიანო. ბრძანებაში მოხსენებული არ არის, რა მიზეზია, რომ ბოლგარიიდამ ჰგზავნიან ამ აფიცრებს. დასახელებულნი აფიცერნი გუშინ რუშჩუკს მოვიდნენ და გერმანიის კონსულს მოახსენეს: ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ასეთის ბრძანებისაო, ჩვენ ვითხოვთ, გვიზღოს მთავრობამ ჩვენი ზარალიო. კონსულმა შეადგინა ოქმი და წიგნი მისწერა სოფიაში იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცე ამ შემთხვევაშიო. ვიდრე პასუხი მოვა, აფიცერნი რუშჩუკში იქმნებიანო.

**ჟურჟევო.** ბრძანება, რომლის ძალით სამსახურს გარეშე მყოფნი რუსის აფიცრები ნადეჟდინი, შოსტაკი და ივანოვი ბოლგარიიდამ უნდა გაედევნათ, გაუქმებულია, რადგან გერმანიის კონსულმა რუშჩუკში და ბარონ ტილმანმა დიდი წინააღმდეგობა გამოაცხადეს ამ განკარგულების გამო.

**სტამბოლი.** „რეიტერის სააგენტოს“ დეპეშა. პორტას ცირკულიარად გაუგზავნია დიდ სახელმწიფოებისათვის შემდეგი ნოტა: საჭიროა ბოლგარიის საქმე უთუოდ გარდასწყდეს და დიდნი სახელმწიფონი როგორმე მორიგდნენ ამ საგნის გამო. ამასთანავე პორტა ურჩევს, სამეგრელოს თავადის კანდიდატურა შეიწყნარონ.

## 24 ნოემბერს

**პეტერბურგი.** გუშინ ქალაქის საბჭოს დარბაზში დიდი კრება იყო პეტერბურგის სლავიანურ საქველმოქმედო საზოგადოებისა. დაიწყო თუ არა კრება, თავსმჯდომარემ განაცხადა სურვილი, რომ ყველამ სალამი მისცეს სტუმარს გალიციის გამოჩენილს პატრიოტს დეკანოზ ნაუმოვიჩსა როგორც წამებულს სარწმუნოებისათვის და მართლმადიდებლობის დამცველსა დასავლეთში. ხანგრძლივი ტაშის კვრა იყო პასუხად. ნაუმოვიჩმა მადლობა გამოაცხადა და სთქვა: იმედი მაქვს, რომ პატრიოტული ღვაწლი სლავიანურ საზოგადოებისა თანაგრძნობას მოიპოვებს მთელ სლავიანების ქვეყნებში, სულ მოკლენი გამხნევდებიან, ყველა, ვინც სლავიანების დიდ იდეისათვის იბრძვის და იტანჯვის, ნუგეშს და ძალას მოიპოვებს. შემდეგ პროფესორმა ლამანსკიმ სიტყვა წარმოსთქვა ბოლგარიის და სლავიანების საქმეების შესახებ საზოგადოდ, და ახსნა,—რამდენად ეს საქმე საყურადღებოა ისტორიკოსისა და სლავისტისათვის. პროფესორმა ისიც მოიხსენა, თუ რა განწყობილებაა რუსეთსა და სხვა დიდ სახელმწიფოთა შორის, და შენიშნა, რომ დღევანდელმა ამბებმა ერთხელ კიდევ თვალ ნათლად დაგვიმტკიცა, იგი განსხვავება აზრისა, თანაგრძნობისა და ინტერესებისა, რომელიც დიდი ხანია აცალკევებს რომანო-გერმანიულ ევროპას და რუსეთსა. მარტო საფრანგეთი იდგა განცალკევებულად, უფრო ჩვენ მხარეს იჭერდა და დიდს თანაგრძნობასაც უცხადებდა გენერალ კაულბარსსა. გადვუხადოთ საფრანგეთს,—დაუმატა პროფესორმა,—ჩვენებურად, რუსულად დიდი მადლობა ყველა სლავიანებთან ერთად, და წარმოვსთქვათ დიდება მისი.“ კრება გათავდა იმით, რომ პროფესორმა მილერმაც წარმოსთქვა სიტყვა; პროფესორი ლაპარაკობდა ჩვენის და სლავიანების საქმეების აწინდელ მიმდინარეობაზე.

* * *

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

### ნოემბერი 30 დღით არის.

**25 დღე სამშაბათი.** წმ. მოწ. კლიმენტისა. კათოლ. წმ. ქალწ. მოწ. ეკატერინისა. სომეხ. წმ. ლუკიანე მღვდელ და სხვ. მუსულ. მე-13 რიცხვი თვისა რებიულ-ევველისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51—43. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 4—30; მთვარე ამოდის 2—34, ჩადის 2—28. მთვარე 12-ის დღისაა.

**26 დღე ოთხშაბათი.** წმ. ალიპი მესვეტისა. კათოლ. წმ. ეპ. ალმას. გრიგოლ ტაუმატურგისა. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52—9. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 4—30; მთვარე ამოდის 3—7, ჩადის 3—27.

**27 დღე ხუთშაბათი.** წმ. მოწ. იაკობ სპარსისა. კათოლ. 27-სა, 28-სა და 29-ს ღვთ.-მსახურება წმ. კლიმენტის დღესასწაულის მე-8 დღის გამო. სომეხ. წმ. კლიმენტისა და ბაგარატ ეპისკოპ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52—36. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 4—30; მთვარე ამოდის 3—44, ჩადის 4—28.

**28 დღე პარასკევი.** წმ. მოწ. სტეფანესი, ვასილისა და სხ. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—3. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30; მთვარე ამოდის 4—16, ჩადის 5—29.

**29 დღე შაბათი.** წმ. მოწ. ფარამონ, ფილუმენ, ღირს. აკაკისა, წმ. დიდ. მოწ. აბიბოსი, ნეკრესის ეპისკოპოსისა. სომეხ. წმ. მოციქ. პირველ-განმანათლებელ სომეხთ თადეოსისა და ბართოლომესი. მუსულ. დაბადება იმამის ჯაფარ-სადიკისა. შაჰ-ნადირი საომრად წავიდა ინდოეთში. შაჰ-ნადირს თან გაჰყვენ აგრეთვე ბატონიშვილი ირაკლი და კახეთისა და ქართლის გამოჩენილნი თავადნი, 1738 წ.—გრაფი მურავიევი 1-ლი დაინიშნა კავკასიის მთავარ-მართებლად, 1854 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—30. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—30; მთვარე ამოდის 5—13, ჩადის 6—21.

**30 დღე კვირა.** წმ. მოციქ. ანდრია პირველ-წოდებულისა, ეპ. ფრუმენტისა. კათოლ. პირველი კვირა ადვენტისა და ღვთის-მსახურება ამაზედვე. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. ბრძანება გამოვიდა მმართველობის სენატისაგან 1874 წ., რომ ამიერ-კავკასიაში შემოღებულ იქმნეს უმაღლესად დამტკიცებული სამოქალაქო დებულება.—ბატონიშვილს ბაქარ ვახტანგის ძეს პირ-და-პირ ებოძა რუსეთის ჯარის არტილერიის გენერალ-ლეიტენანტობა, 1729 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53—58. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 6—8, ჩადის 7—30.

### დეკემბერი 31 დღით არის.

**1 დღე ორშაბათი.** წინ.-მეტყ. ნაომისა, წმ. მოწ. ანანიასი. კათოლ. წმ. მოციქ. ანდრიასი. სომეხ. წმ. ეპისკ. გენარიასი და სხვ. დაარსდა ტფილისში სახაზინო პალატა, 1849 წ.—სამეგრელოს გლეხები განთავისუფლებულ იქმნენ ბატონ-ყმობითგან, 1866 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—54—26. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის 4—31; მთვარე ამოდის 7—9, ჩადის 8—28.

* * *

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადასწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

# განცხადებანი

რადგან 16 ნოემბრისთვის დანიშნული კრება წევრთა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ვერ შესდგა, კანონიერ წევრთა დაუსწრებლობისა გამო, ამისთვის, წესდების § 15 ძალით, მეორედ არის დანიშნული 30 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში საგანგებო კრება წევრთა აღნიშნულის წერა-კითხვის საზოგადოებისა განსახილველად: ა) ბათუმის სკოლის საქმისა, ბ) წიგნების ბეჭდვისა და გ) ახალთა წევრთა ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც ქალაქ გარედ ცხოვრებისა გამო აღარ შეუძლიათ მმართველობის წევრის თანამდებობის აღსრულება. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა წევრი დაესწროს კრებას. (5—1)

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში და ქუთაისში ახალი სახელმძღვანელო წიგნი სკოლებში და ოჯახში სახმარებელი.

ქართველი მწერლები

I

საბა-სულხან

**ორბელიანი**

ფასი 15 კაპ.

ამ წიგნში შეკრებილია საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკები, ამოღებული „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნიდამ; წინ წამძღვარებული აქვს წინა-სიტყვაობა და ვრცელი ბიოგრაფია ავტორისა. წიგნს აქვს სახეში დაეხმაროს მასწავლებლებს და მოწაფეთ ქართულის ენის და ლიტერატურის შესწავლაში. ყოველს ძნელ სიტყვას, რომელსაც-კი მოწაფე ჰპოვებს ამ წიგნში, განმარტება აქვს მიცემული იქვე სხოლიოში. ვინც ნაღდს ფულზედ დაიბარებს ამ წიგნს პირ და პირ გამომცემლისაგან არა ნაკლებ 10 ეგზემპლიარისა, მას 20% დაეთმობა.

ადრესი: Тифлисъ. Александровскій учительскій институтъ. М. А. Насидзе. (5—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ.“*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозв. ценз. Тиф. 24 ноября, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე